№ 53 მარტის 10, ქვირა. 1866—1885 მარტის 10, ქვირა. № 53

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული [illegible] ადგილი 25 მანათი; პირველი 50-მან. [illegible] სტრიქონისა ითვლება მათგან დაჭერილნი ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია გერ დაუბრუნებს აგზავნს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი, სოფლის მასწავლებლითათვის 6 მანათი.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

ოთხშაბათს, მარტის 11-ს, წლის გარდაცვალების დღესა, გენერალ-მაიორშასი კნეინა ბარბარე ილიას ასულის ჯამბაკურიან-ოთველიანისა იქმნება მისთვის წირვა და შემდეგ პანაშვიდი მცხეთის სობოროში დასაწყისი წირვისა $10^1/_2$ საათზედ. (1—1)

ოთხშაბათს მარტის 11-ს იქმნება ფლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის სენატორის
დიმიტრი სვიმონის ძის სტაროსელსკისთვის
თბილისში მის მაღალ ყოველად უსამღვდელოესის ეკლესიაში და საგურამოს წმიდა მოციქულის თადეოზის საყდარში. წირვა დაიწყება დილით 10 საათზედ. (1—1)

სალიტერატურო საღამო
ცხინვალში
შაბათს, მარტის 9-ას.
გორში
კვირას, მარტის 10-ს.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ. მოსაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი: თავ. ვ. თუმანიშვილი და ბატ. სოფ. ბგალობლიშვილი; ქართულ-დრამატიული მახიობნი: ქ.-ბ. ნატ. ბაბუნია-საგარლისა, ბბ. აწყურელი, ერისთავი, მოხევე და სხვანი.

საღამო შესდგება სცენათა და ლექსთა კითხვით, ქართული ხმების სიმღერით და ლეკურ-ჩაჩნურ-კინტოურის თამაშობით. (3—3)

ბოქრის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი

უმორჩილესად სთხოვს თავადთა და აზნაურთა ბოქრის მაზრისა მობრძანდენ ქ. ბოქრს აპრილის 14-ს, დილით ათ საათზედ ბოქრის მაზრის კეთილშობილთა ჩვეულებრივს კრებაზედ. (3—3)

მუშური

მოდით, მოგროვდით, ბიჭებო,
აბა მომეცით მხარიო,
დაეძახოთ ერთ ხმად მუშური,
შეეძრაოთ ქვეყანა, მთა და ბარიო.

—

აგერ მზემც თავი ამოჰყო,
მოჰფინა შუქი ცხოველი
და ახლად გაღვიძებული,
მიესალამა ტყე-ველი.

—

ჩუ! დამღერა შორს ბულბულმა
ხმა ნარნარი საამური;
შაშვი სტვენს, გალობს ტორფა,
ძათ მოსძახის მოლალური.

—

ეშლება ტურფად ბუნება,
ხარობს, ცელქობს არე-მარე
და ჩვენც შრომით მაინც არის
გავიქარწყლოთ სიმწუხარე.

—

დაჰკათ, ძმებო, ნურას შიშობთ—
არ გვიმტყუნებს მოსავალი:
ჩვენსა ნაშრომს—ნაამაგრევს
დასტრიალებს უფლის თვალი.

—

აბა, ბაბო, ბარს უმარჯვე,
ჩამოთალე ეგ ყამირი;
ბიგავ, შენ თოხი მოუსვი,
ნაბარს მოუსწორე პირი.

—

ვლვაროთ ოფლი შეუშრობლად,
შევუერთოთ მიწის ზეთსა,
და რომ ჩვენი მზეც ამოვა,
ნუ დავკარგავთ იმ იმედსა....

—

დაჰკათ, ძმებო, დატრიალდით,
ავიტანოთ სვე თავამდე,
ოფლით ლუკმა პურის შოვნა
ეაცსა მართებს საფლავამდე.

ს. ნასარიძე.

საგვირაო ფელეტონი

ცეცხლი ტერასატუროვის სახლებში.—ბერძნების შეხედულობა ოთხს ელემენტზედ.—ბულგარის პატრიარქი და მისი მეტოქე.—ქართული ლექცია ქართულს ლიტერატურაზედ.—მზრუნველი ესტეტისა და მეგრელებისათვის.—ორ-ენა გაზეთი და კიდევ მ. ლამბაშიძე.

ვის არ გაუგონია თავის პატარაობაში ზღაპარი უკვდავების წყაროზედ, მთელი ქვეყნის ამბის შემატყობინებელ სარკეზედ და წუთში რამდენიმე დღის სავალის გადამფრენ ხალიჩაზე! პატარაობაში ამ ამბებს გულის ფანცქალით ვისმენდით ხოლმე, მაგრამ რაკი წამოვიზარდენით, მოვიგონებთ თუ არა უწინდელ ამბავს, პირზე ღიმილი მოგვდის და გვიკვირს, რომ ერთ დროსაც არის, ამისთანა ზღაპრები სრულს ჩვენს ყურადღებას ატყვევებდენ და თუ მათ მთქმელს ძილი არ მოერეოდა, მამლის ყივილამდე თეთრად გვათენებინებდენ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს ყოველისფერი მართლა ისე ზღაპრული არა ყოფილა, როგორც ჩვენა გვგონია და თუ ჩვენმა წინაპრებმა იგინი შეთხზეს, ეს ცუდად ჯდომისაგან კი არ მოსვლიათ, არამედ წინადვე უგრძვნიათ,—როგორ მდიდარი იქნებოდა მეცხრამეტე საუკუნე სხვა-და-სხვა მეცნიერული გამოგონებით და ნდომებიათ თავიანთი წინადგრძნობა სხვებისათვისაც გაეზიარებინათ: მაშ რა არის ეხლანდელი ტელეგრაფის აპარატი, რომლის შეძლებითაც ერთს თვალის დახამხამებაში აზრი მთელს დედამიწას შემოირბენს, თუ არა ზღაპრული სარკე; რა არის ჰაერის ბურთი თუ არა ელვაზედ უსწრაფესად მფრენავი ხალიჩა, რანი არიან ბიშოპ-ჭელდმანები, თუ არ ზღაპრული გულთ-მისნები?

ასე ტრიალებს ქვეყანა; რაც უწინ საკვირველებად და დაუჯერებელ ამბად მიგვაჩნდა, ეხლა იმისათვის მეცნიერულ ახსნასა ვპოულობთ და, ჰამლეტისა არ იყოს, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დედა-მიწის ზურგზედ, რაც ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ. აი, მაგალითად დავკვირდეთ თუნდა ბერძნების შეხედულობას ქვეყნიერების შედგენაზედ: ბერძნებს წარმოდგენილი ჰქონდათ რომ ქვეყანა ოთხის ელემენტისაგან შესდგებაო: მიწისა, ჰაერისა, წყლისა და ცეცხლისაგანაო და ოთხს ელემენტს თითქმის სულიერ არსებად ჰხადოდენ. მასუკან შეხედულება ბერძნებისა უარ-ყოფილ იქმნა და ქიმიკოსების შრომის შემდეგ, წარმოიდგინეს, ვითომ ეს ოთხი საგანი სრულიად ქვეყნის შემადგენელ ელემენტებს არ ეკუთვნოდენ და სულიერების ნიშან-წყალი არც კი ეტყობოდათ. მაგრამ ამ საგნშიაც შემდეგი თაობა მტყუანი გამოდის და ძველნი კი შორსმხედველობის ნიჭს უფრო ისაკუთრებენ. ავილოთ თუნდა ერთი ამ ელე-

ვიდრე მეგრული ენის თაობაზე

[illegible]

წერილი რედაქციისადმი

ბუშინ-წინ დაბეჭდილი იყო თქვენს გაზეთში ფრიად საყურადღებო წერილი მეგრულის ენის თაობაზე იმ მეცნიერთა და „მხრუნველთა“ წინააღმდეგ, რომელნიც თავის-თავს ძალას ატანენ და უნდათ ვითომ გაამდიდრონ მეცნიერება იმითი, რომ ჰეშმარიტება დაარღვიონ და შეაფერხონ. თუმცა იმათი ცდა ამაო და უნაყოფოა, რადგან ჰეშმარიტება თავისას მაინც გაიტანს, მაგრამ ამ გვარის საგნის უკურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. მეგრული ენა რომ ქართული ენის ღვიძლი შვილია, ამაში შემოიტანს ეჭვს მხოლოდ ის, ვისაც მეგრული ისე გაეგება, როგორც ბ. რადეს ხევსურული. მეგრელები და ჭანელები ღვიძლნი, ნამდვილნი შვილნი არიან ქართველის ერისა. მაშასადამე შეიძლება, რომ შვილმა მამის ენა არ იცოდეს? ნუ თუ ეს ბუნების კანონის წინააღმდეგი არ არის და თვით მისი დამარღვეველიც? რომელ ფილოსოფოსს მოუვიდა თავში მეგრულისა და ქართულის ერთმანეთთან დაშორება? ჩვენ, მეგრელები, ნამდვილნი შვილნი ვართ ქართველის ერისა და ჩვენი დედ-ენა ქართულია. სამეგრელოს ცხოვრება, გონებრივი განვითარება ქართულს ენაზე და მის მწერლობაზე იყო დამყარებული და ეხლაც არის; მეგრულს ენას თავისი არც ანბანი აქვს და, რასაკვირველია, არც ლიტერატურა. იმას არც სხვა ენის ანბანა მიუდგება გარდა ქართულისა; თუ არ ქართულით, ვერც ერთ ევროპიულ ან აზიულ ენის ანბანით ვერ გამოხატავთ მეგრულ სიტყვებს და ასოებს...

ნემეცურ ენას თორმეტი თუ ცამეტი სხვა-და-სხვა განკოფილება აქვს: შვაბელი და პრუსიელი ნემეცები რომ ერთმანეთს შეხვდებიან, ხოლმე თუ თავიანთ ადგილობრივ კილოზე დაიწყეს ლაპარაკი, ერთმანეთისას ვერას გაიგებენ. ბერმანიის ერთ მხარეზე ლაპარაკობენ ერთ ნაირის ნემეცურის ენით, რომელსაც ჰქვიან პლატ-დოიჩ, მეორე მხარეზე ხმარობენ იმავე ნემეცურ ენას, რომელსაც ჰოხ-დოიჩს უწოდებენ. იმათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ნამდვილ ქართულისა და მეგრულის შორის. მაგრამ ვინ იტყვის, რომ შვაბელები ნემეცები არ არიანო? ვინ იტყვის, რომ ლესინგი, ბიოტე, შილერი, კანტი მთელის ბერმანიისათვის საამაყო შვილნი არ იყვნენ? რომელი შვაბელი იტყვის, ფაუსტის ენა ჩემი ღვიძლი, დედა ენა არ არისო?

ნაკლები განსხვავება არ არის ფრანცუზულ ენაშიაც: პროვანსალური ლაპარაკი შამპანიის მცხოვრებს თითქმის არ ესმის; მაგრამ არავის აზრად არ მოუვა პროვანსალური ენა ისეთ ენად

აღიარონ, რომლისათვისაც ნამდვილი ფრანცუზული უცხო, გარეშე იყოს. ეგეთსავე მოელენას ეხედავთ სომხურ ენაში: ხოკური ენა არ ესმით ყარაბაღელებს, მაგრამ სალიტერატურო ენა მხოლოდ ერთი და იგივეა. მეგრელი, იმერელი, გურული, ქართლელი, კახელი, ხევსური, ქობულეთელი თუ აჭარელი — ყველანი ერთსა და იმავე ქართველ ერსა შეადგენენ; იმათი შემაერთებელი კავშირი არათუ მარტო ქართული ენაა, არამედ მთელი ცხრამეტის საუკუნის ისტორია, ჩვეულებანი, ხასიათი და სხვა. მართალია, უკულმართ დროთა ბრუნვას პოლიტიკურად ხანდისხან ერთმანეთს დაეუშორებიანართ, მაგრამ ეს ამბავი ყოველ ქვეყანაში მომხდარა: საფრანგეთში, ბერმანიაში და იტალიაში ენის ერთობა, ზნეობითი კავშირი და ეროვნული დამოკიდებულება არასოდეს არ მოსპობილა. ახლა, ღვთის მადლით, როცა ჩვენ ყველანი ფშაველიც, ხევსურიც, მეგრელიც, კახელიც და ქობულეთელიც დიდებულის რუსეთის მფარველობის ქვეშ შეევერთდით — ეხლა უფრო უნდა გაძლიერდეს ის გრძნობა, რომ ჩვენ ყველანი ერთს ერს შეადგენთ, ერთი ენა გვაქვს, ერთი და იგივე ცხოვრების საგანი, ერთი და იგივე დანიშნულება. როგორც ხევსური, ისე მეგრელი ამაყობს საუკეთესო წამებით საქართველოს ისტორიისა. დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რუსთაველი, ანტონ ჭყონდიდელი წმინდა სახელებია როგორც გურულისა, ისე მეგრელისათვის, კახელისათვის და სხვ.

ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან და ქართველ საზოგადოებასთან, რომ ამისთანა უბრალო, ყველასაგან კარგად შეგნებულ საგანზე ელაპარაკობ, მაგრამ რას იქთ, როცა ახირებულმა მეცნიერმა «მხრუნველებმა» არ მოგვისვენეს, — მაინც-და მაინც ახალი თეორიებით უნდა გავამდიდროთ მეცნიერება. ვაი, საბრალო ის მეცნიერება, რომელსაც სურს დაუმტკიცოს მეგრელებს, რომ თქვენი ქართული ენა თქვენი ენა არ არისო. მებრალება ჭეშმარიტად! მეგრელებს ასე ადვილად ვერ გაგვაბრიყვებენ.

მეგრელი.

შინაური ქრონიკა

= მარტის 6-ს დაუკეტიათ ორი სკოლა ახალციხეს: ერთი ვაჟებისა — ქარაპეტისა და მეორე ქალებისა — ელისაბედისა.

= ძალაქში ხმა დადის, რომ ოჯახ ყულიას მკვლელობის საქმე დღეს სხვა მიმართულებას იღებს: იმ პირთ გარდა, რომელთაც სამსჯავრომ სასჯელი უკვე გადაუწყვიტა, ერთი ახალი პირი კიდევ აღმოჩენილა ამ მკვლელობაში მონაწილეობის მიმღები და ეს პირი სრულიად ამტკიცებს სამსჯავროს გადაწყვეტილებას.

= დ. ბოჟია-პრომისლიდამ გვწერენ: «დღეს, თებერვლის 25-ს, ნაშუადღევის პირველ საათზედ სწორედ სამწუხარო ამბავი მოხდა აქ, რომელმაც მთელი მაზრის ადმინისტრაცია ფეხზედ დააყენა. ორდებილიდგან (სპარსეთი) გადმოვიდენ ორმოცდაექვსი შეიარაღებული ცხენოსანი ყაჩაღები, დაეცნენ მტკვრის მარჯვენა მხარეზედ ორი საზოგადოების მცხოვრებლებს და აკუშიდამ დაწყებული ვიდრე ბოჟია-პრომისლამდე სამასი კომლი სრულიად გაანადგურეს. ყაჩაღებმა, რაც ფული ან რაიმე ავეჯი მოხვდათ ხელში, სულ წაიღეს და მარქაფად სათითაოდ არჩეული ცხენებიც წაიყვანეს. სალიანის პოლიციის პრისტავი ქოლპაკოვი გამოუდგა ყაჩაღებს ოთხი რუსის ყაზახით და შვიდი მაჰმადიანი ჩაფრით. ყაჩაღებს მიასწრეს ერთ სოფელში, სადაც მოხდა შეტაკება პოლიციისა და ყაჩაღების შორის. მაჰმადიანთ ჩაფრები შეშინდენ და გაიქცნენ. პრისტავი და ყაზახები, შეძლების-და-გვარად ებრძოდენ ავაზაკებს, მაგრამ ყაჩაღებმა მოჰკლეს ერთი ყაზახი, ორი ცხენი, ორი კაციც დასჭრეს (ამათში ერთი მამასახლისია) და შემდეგ გაიქცნენ. მიღებულია სასტიკი საშუალება ავაზაკების დასაჭერად. შემდეგს გარემოებას გაცნობებთ».

= ქახეთიდამ გვწერენ, რომ ერთი ბრალდებული გვარად დათიაშვილი, რომელიც თავის ცოლ-შვილით დიდი ხნობით დატუსაღებული იყო თუქურმიშის ფოსტის განყოფილებაში ფულის დაკარგვის გამო, ეხლა სრულიად გამართლებულა, რად განაც ქურდები სხვები ამოჩენილან და არა დათიაშვილი.

= ხევიდამ გვწერენ, რომ სოფ. სიონის სამრევლო ეკლესიაზედ სამი სოფელია ზედ მიწერილი: ბაიბსტენი, არშა და თოთი, რომელნიც უხიდობის გამო საშინელს ტანჯვაში არიან, მეტადრე ზაფხულობით, როდესაც თერგი მოდიდებას დაიწყებს. ზაზაფხულიდამ მოკიდებული, ვიდრე ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებამდე ხსენებული სოფლები მდინარე თერგს იქით ემწყვდევიან და თუ პური, შეშა და სხვა საჭირო საზრდო წინადვე არ გაიტანეს, წყალ დიდობის დროს გატანა მეტის მეტად ძნელდება. უხიდობის გამო წირვასაც მოკლებულნი არიან ამ სოფლების მცხოვრებლები.

= ბამოვიდა გასაყიდად ბ-ნი ალ. მირიანაშვილისაგან შედგენილი ქართული მოძრავი ასოები. თვით შემადგენელი, აი, რას ამბობს ამ საგნის შესახებ:

„თითქმის ყველა ევროპიულ ენებზედ ბეჭდური და ხელნაწერი შრიფტები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ნამეტნავად ზოგ-ზოგი ასო ბეჭდური შრიფტისა სრულიად არა ჰგავს ხელნაწერი შრიფტის იმავე მნიშვნელობის ასოს. მაგალითების მოყვანას საჭიროდ არა ვრაცხთ.

ეს გარემოება აძნელებს წერა-კითხვის პირველად სწავლების საქმეს: მასწავლებელს სჭირდება საწერად ბავშვს უჩვენოს ერთი შრიფტი და საკითხად — მეორე.

ჩვენ, ქართველები, ამ სიძნელეს ტოტად თუბეერად აშორებულნი ვართ, რადგან ქართულ ენაზედ ბეჭდურისა და ხელნაწერის შრიფტების შორის დიდად შესამჩნეველი განსხვავება არ არის. ამიტომ ქართულ პირველ დაწყებით სკოლებში, ჩვენის აზრით, უოველ ქართველ მასწავლებელს თავმად შეუძლიან იხმაროს მხოლოდ ერთი შრიფტი და არა ორი, როგორც უცხოელები სმაროენ.

ეს მით უფრო შესაძლოა, რადგან სხვათა ენათა წინაშე ქართულ ენას აქვს ერთი უპირატესობა: ქართული წერა განიოფება ორ რიგობად: ა) ესრედ წოდებული „მრგვალი ხელი“ და ბ) „ნუსხური“. მრგვალი ხელი შადგენს შუა წრეს ბეჭდურისა და ნუსხურის შორის. ამიტომ მრგვალი ხელი უფრო გამოსადეგია ჩვენი მიზნისათვის და კიდეც ეს ჯიღეთ მოძრავი ასოებისათვის.

შედგენის დროს ჩვენ სახეში გვქონდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბავშვები წერასა და კითხვას ერთად სწავ-

---

მენტთაგანი — ცეცხლი. ცეცხლი ქიმიკოსებს თუმცა უბრალო ბუნებრივს მოელენად მიაჩნიათ, მაგრამ გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ იგი არამცთუ სულიერი, — გონიერი არსებაც უნდა იყოს და საუკეთესო დამხმარე ადამიანებისა გაჭირვებულ დროს. როგორც დათვი ფუთკარს მაგნებს ხოლმე, ისე ცეცხლს არ უჭირდება მიგნება იმისთანა სახლებ-დაუნებ-მალაციებისა, რომელთა დაწვით მათ პატრონს «ხეირი» მიეცემა რამე. იგი დახედავს ხოლმე აგრეთვე უზარ-მაზარ შენობებს, რომლებშიაც სხვა-და-სხვა საქონელი დაწესებულებანი შებუდებულან და სადაც უხვად მოიპოვება ამ ელემენტის საზდო «ატანაშენიების და პრედპისანიების» სახით. დიდი ხანი არ არის, რაც ცეცხლმა უეცარი რევიზია გაუკეთა შაბუროვის სახლებს, სადაც გუბერნიის სამმართველო იყო მოთავსებული და იძულებული გახადა ტერ-ასატუროვის შენობაში ახალი ბინა მოეკიდნა. მაგრამ აქაც ალე მიაგნო ისედაც დაზიანებულს და დოკუმენტებ-დამწვარ სამმართველოს და ბანიდამ ერთბაშად ორ ადგილას იერიშით მივიდა მასზედ, რომ ეხლა მაინც ძირიანად ამოებუგა, მაგრამ ცდამ კიდევ ამაოდ ჩაუარა.

ეხლაც იტყვით, რომ ცეცხლი გონიერულად არა მოქმედობს და სულიერი არსება არ არისო. თუ ეს ასე არ იყოს, რალა ორჯერვე ზედიზედ ისეთი ადგილი მონახა, სადაც თავის საზრდოს უხვად იშოვიდა; რალა საობლო სასამართლო ამობუგა ძირიანად, ე. ი. იმისთანა დაწესებულება, რომლის საქმეების გაწმენდას მართლაც რომ მარტო ცეცხლი თუ შეიძლებდა...

***

საობლო სასამართლო რაკი სიტყვამ მოიტანა, იქნება მკითხველმა მოიწადინოს ქალაქის რჩევაშიაც შეხედვა, ე. ი. იმ სახლში, რომელიც საობლო სასამართლოსთან ერთ ჭერ-ქვეშ არის მოთავსებული. რჩევის ზალას, ღვთის მადლით, ჯერ არც ერთი ბერძნული ელემენტი არ გადამტერებია: არც წყალს წაულეკავს, არც ცეცხლს წაუბუგავს და ბამგეობას არც ჰაერის უქონლობა უგვრძნია დამსწრე ხმოსანთა სიმრავლის გამო. აქ სუფევს სრული სიჩუმე და მყუდროება. აქ ბძანებლობს ბულვარის პატრიარქის ბოქაულთ-უხუცესი ისმაილა (მონათლული უნდა იყოს), რომელიც განსაკუთრებულს მჭევრ-მეტყველებას მაინ გამოიჩენს ხოლმე, როცა საქმე მის „პატრონს“ შეეხება. ბულვარის პატრიარქსაც მოუკალათებია თავის რგვალ ტაძარში (მდებიურად — ბუდკაში), რომელიც ბიზანტიურის სტალზეა აგებული ედემის წალკოტის კუთხეში (მდებიურად — ალექსანდრეს ბაღთან) და ჰკრეფავს პეტრეს დინარს (მდებიურად — კოპიტებს) მისგან დარიგებულ ინდულგენციებში (მდებიურად: „Кавказъ“, „Новое обозреніе“, „Минута“ და სხვა). თუ ვინმე გაჰბედავს და მოინდომებს სხვა ამისთანა ტაძრის აგებას და ინდულგენციების ყიდვას, იგი ერეტიკოსად უნდა ჩაირიცხოს და დამწვარ იქმნას ბოქაულთ-უხუცესის ისმაილას პირიდამ წამოყრილის ცეცხლით.

ზემოხსენებულს ზალაში ერთ-ერთს წარსულს სხდომაზედ პატივცემულმა ხმოსნებმა ამ საგანში სწორედ შესაფერი მორჩილება გამოიჩინეს. თუმცა ეიღაც ბელოიმ თხოვნა შემოიტანა, რომ მეცნიერება მომეცით რგვალი ტაძრის აგებისა, ინდულგენციების ყიდვისა და ამ ნება-რთვ-სათვის ერთიხუთად მეტს შემოვიტან დღეს დღეგძელად მყოფ პატრიარქსდაო, მაგრამ უხარბელმა რჩევამ ისმაილას ჩაგონებით, ეს მისი სარწმუნოების შემაგინებელი წინადადება უარ-ჰყო და აღიარა რომ „არა ერთითა პურითა არსობითა ცხონდების“ კაცი.

***

ცეცხლის შიში, ღვთის მადლით, არც არწრუნისეულს თეატრსა აქვს. თუ დაესწარით თ. რაფ. ერისთავის ლექციაზედ, იგრძნობთ ჩემის სიტყვების სინამდვილეს. თუმცა პატივცემული და ჩვენს ლიტერატურაში მრავალად დამსახურებული ლექტორი ძველის წიგნებიდამ ამოკრეფილი მაგალითებით მთელი ორ საათის განმავლობაში ცდილობდა შეეხურებინეთ, მაგრამ თეატრში ისე ციოდა, რომ საბრალო მსმენელნი გაფიჩხებულნი ისხდენ და მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, ამ საბრალოთა რიცხვს ვეკუთვნოდი: არ ვიცი ამიტომ, თუ სხვა მიზეზით, მთელმა ლექციამ ჩემზე „წა-

ლობენ; ამიტომ ასოების დასმის დროს გასცდალობდით წერის მეთოდიური მსარეენიც დაგვეცვა. ამაში დარწმუნდება ყოველი, ვინც მიაქცევს ყურადღებას ასოების გამოსატყლობას: თვითეული ასოს ზოგი ნაწილი გამსხვილებულია, ზოგი გაწვრილებული. ეს გაწვრილ-გამსხვილება დაფუძნებულია კალმის მოძრაობაზედ წერის დროს; უნდა არ დავიწყოთ კი, რომ წერის დროს მსხვილი ხაზი ისატება მხოლოდ მაშინ, როდესაც კალამი ზემოდამ ძირს ეშვება და თუ კალამი ქვემოდამ ზევით ადის, მაშინ უსათუოდ ხაზი წვრილი გამოვა.

ჩვენი მოძრავი ასოები ამ მხრივ, გვგონია, სასარგებლო იქმნება ნამეტ ნავად ისეთ მასწავლებელთათვის, რომელნიც თვითონვე უნაკლულოდ კერა სწერავენ, რასაკვირველია, კალიგრაფიის მხრივ.

რომ შემდეგ მთელი ანბანის შესწავლისა ბავშვებმა ასოების მართლწერა არ დაივიწყონ, არ გადასხვაფერონ, ჩვენ განვიზრახეთ იმავე ასოების დაბეჭდვა ცალკე მთლიან ფურცლებზედ, რომელნიც თვითეულ კლასში იქმნებიან კედელზედ შეგირდების წინ გაკრულნი. კედლის დედანი მით უფრო სასარგებლოა, რომ, თუ იგი სკოლის ყოველ კლასში იქმნება გაკრული, მაშინ შეგირდებსაც მოეთხოვებათ, რომ ყველამ ერთი და იგივე ასო დასწერონ ერთ გვარად და არა თავთავის გემოვნებაზედ, რომლის მაგალითსაც ჩვენ ამ ჟამად განურჩეველად ყოველ სასწავლებელში ვხედავთ.''

ჩვენის აზრით შემადგენელს ზოგი ასოებისთვის, როგორც მაგ. ზ, ქართული ხასიათი დაუკარგვინებია იმის გამო, რომ ჩვენი პედაგოგებისაგან შედგენილ ბადეებში ჩაჯდომას თურმე ძალიან უარზედ არის. შასი ამ ასოებისა, 1 მან., გვგონია, ცოტა ძვირია.

„დროების“ კორესპონდენციები

ქ. ყარსი, მარტის 4-ს. მდინარე ყარს-ჩაი, რომელიც თითქმის გარს უხვევს ქალაქს, ძალიან მდორე წყალია და ამასთან ნაპირები ძალიან დაბალი აქვს. დღეს, მარტის 4-ს რამდენიმე დღის სითბოს შემდეგ, უცებ მოვარდა ხევები. Oოლმა დაიწყო დნობა. სითბოს ჯერ იმოდენა ძალა არა აქვს, რომ თითქმის ორი აღლის სიმსხო ყინული გაეპო და ამიტომ თოვლისაგან შემდგარი ხევები ყარს-ჩაის ყინულის ზევიდამ მოდის და სადაც უფრო დაბალი ნაპირი აქვს წყალს (ქალაქის თავისუფალ აფთიაქთან) იქიდამ გადმოხეთქა დღეს სალამოს და გუბერნატორის მთელი ქუჩა დაიჭირა. ამ ქუჩაზედ არის კლუბი, ტელეგრაფის სტანცია და რამდენიმე მაღაზია; ამ ჟამად ამ შენობებ შორის მისვლა-მოსვლა ყოველად შეუძლებელია, თუ არ ნავებით.

აქაური მოხელეების საქმე გასაკვირველია. ადრე, ყოველ წლივ, როცა გაზაფხული მოახლოვდებოდა ყინულს თოფის წამლით, ან დინამიტით აფეთქებდენ და წრეულს-კი ყური არავის გაუბერტყია. Oავის დროზედ, რომ ყინული აეფეთქებინათ, არც ეს ამბავი მოხდებოდა.

ყარს ჩაის მარცხენა მხარესაც, ფოსტის კანტორის დასწვრივ მთელი ქუჩა მდინარის ტოტს შეადგენს ამ წუთაში. აქ ყინულის აუფეთქებლობის გარდა, კიდევ სხვა მიზეზი დაერთო; აი, ეს მიზეზი: ვოლაც „ჭკუის კოლოფს“ წისქვილის გაშენება განუზრახავს, რისთვისაც უშველებელი ქვის შენობა გაუმართავს და რამდენიმე თვალის დაბრუნებას აპირობდა. ამისათვის ყარს-ჩაის ტოტი, რომელიც ქალაქის „ბალს“(!) გარს უხვევს, დაუგუბებია ერთ ალაგს, რომ წყალს მეტი ძალა მისცემოდა. Oუმცა ამისი წადილი-წადილათ დარჩომილა ე. ი. წისქვილი არ დაუბრუნდა, მაგრამ სამაგიეროდ წყალი რუსხმულში ველარ მოთავსებულა და აი დღეს მთელი ეს ქუჩა ხელში დაუჭერია. ამბობენ რამდენიმე სახლში შევარდნილა წყალი და შიგ მცხოვრებნი თუ გადარჩნენ, თორემ ავეჯეულობა ველარ გადაანარჩუნესო. ამბობენ აგრეთვე, ვითომც ქალაქის მცხოვრებნი აპირობდენ მთავრობასთან თხოვნის მირთმევას, რომ ეს წისქვილი მოიშალოს და ამით თავიდამ აიშოროს მცხოვრებთ მეორედ ამისთანა შემთხვევა.

შიგ შუა ქალაქში (ბაზარში) ყოველ ამ დროს ერთი აუარებელი ტბა (ჭელბაშინი) დგება ხოლმე და თუ ამასაც ყური არ ათხოვეს, ვისიც ჯერ არს, და გადმოხეთქა წყალმა, მაშინ, ვაი შენს მტერს, რაც ჩვენ საქმე დაგვემართება! — მთელი ქალაქის ქუჩები არხებად გადაიქცევა და ერთი სახლიდამ მეორემდის «გონდოლებით» მოგვიხდება სიარული, ისე როგორც ვენეციაშია. განსხვავება მარტო ის იქნება, რომ ვენეციაში ზღვაში წმინდა ანკარა წყალში — დაცურავენ და აქ-კი ტალახში და წუმპეში ვიცურავებთ. აბა, ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, უიმისოდაც დროს გასატარებელი არა გვქონდა და ეხლა უფრო რა გვექნება: ფოსტას ახლო ვერ მიეუდგებით, კლუბში თავს ვერ შეავყოფთ, დიდი კაჭირება რომ გვქონდეს ტელეგრამას ვერავის მივაწოდებთ და გულის გასართველად «ბალშიაც» ვერ გავიელით, რადგან ორივე ხის ხიდები, რომელნიც აერთებდენ ამ ბალს ქალაქთან დღეს წყალმა წაიღო.

ბ.

თელავი, თებერვლის 2-ს. «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» სასარგებლოდ გამართული იყო აქაურ საზოგადო კლუბის დარბაზში თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილის თაოსნობით ბალი-ბუფეტით. ამ ბალში დასწრებულ საზოგადოების არა მცირედ ნაწილს შეადგენდენ თელავის მახლობელ სოფლებიდგან ჩამოსულნი ქალნი და კაცნი, წინადვე უკვე უწყებულნი მაჯრის უფროსისაგან. საზოგადოებამ აღტაცებულის მოლხენით გაატარა დრო, მომეტებულად ლეკურის და დაველურის თამაშობით. სხვათა მოთამაშე ქალთა და ვაჟთა შორის კნიაჟ. Oებ. მაყაშვილისამ, ,,ეკვა სახელ-გამოქმულმა მთელს ქახეთში, მართლა და ხელოვნურის და მეტის მეტად მოხდენილის ლეკურის და დაველურის თამაშობით, დაიმსახურა სრული ყურადღება საზოგადოებისა, რომელიც აუარებელის ტაშის-კვრითა და ხანგრძლივის ,,ბრავოს'' ძახილით უცხადებდა კნიაჟ. O. მაყაშვილისას გულითადს თანაგრძნობას.

ზემოხსენებულმა ბალმა ,,საზოგადოებას'' შესძინა შემდეგი: ბილეთები იყო მომზადებული 210, თ-თო მანათიანი. Bარდა 17-სა გაიყიდა სულ 193 და შემოვიდა. . . 193 მ.
ბუფეტიდგან . . . . 96 მ. 69 კ.

სულ. 289 — 69 „

დაიხარჯა:
ხილეულში . . . . 19 — 48 „
ჩაი შაქარში, სასმელებში
და საუზმეზედ. . . 19 — 57 „

ჯექ-უკუჯექის ცეცხლის“ შთაბეჭდილება იქონია. როგორც უდაბნოში მოწყურებულს კაცს ცივ-ცივი წყარო ელანდება, იქნება მეც სიცივისაგან გაფიჩხულს ცეცხლი მელანდებოდა. თუნდა ეს ცეცხლი ,,ჯაჯექ-უკუჯექისა'' ყოფილიყო.

აი, თუ ასე არ იყოს:

მე ისე მახსოვს, ლექტორმა ბძანა: ზოგნი ამტკიცებენ რომ ქართული ანბანი Ფარნაოზმა მოიგონა და ზოგნი ამბობენ, რომ იგი ექვსასი წლის შემდეგ შემოიღესო. მე უფრო პირველთა აზრისა ვარ, თუმცა ხსენებულ ექვსასის წლის განმავლობიდამ არავითარი კვალი არ დარჩენილა ქართულის ანბანის არსებობისაო. იქნება ლექტორმა ასე სთქვა: მე უფრო უკანასკნელთა აზრისა ვარ, რადგან ასე რომ არ იყოს, როგორ შეიძლებოდა რაიმე კვალი არ დარჩენილიყო მთელის ექვსასის წლის ეპოქისაო, — და მე კი სხვა ნაირად გავიგონე.

მე კიდევ ასე მახსოვს: შეფხის-ტყაოსანს ბ. ლექტორი წუნსა სდებდა იმაში, რომ მისი გმირები იდეალს არ წარმოადგენენ და უბრალო კაცებს გვიხატავენ თავიანთ სიკეთითა და სიავით; და აქებდა იმისთვის, რომ ღვთისმოყვარეობა უმთავრესს თვისებას შეადგენს მასში გამოხატული პირებისაგან. ეს მართლა რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ლექტორის შეხედულობა საზოგადოდ წიგნების ღირსებაზედ ბევრით ალარ განსხვავდებოდა იმათ შეხედულობისაგან, რომელთაც წარსულ საუკუნეში «შეფხის-ტყაოსანს» აუტო-და-ფე განუჩინეს. არა, ესეც როგორღაც კარგად ვერ გამიგია.

Bოლოს კიდევ ყური ისე მოვკარ, თითქო ლექტორმა სარგის-Oმოგველს Dილარგეთ დაარქვა და დაავიწყდა, რომ Dილარგეთ გმირი იყო სარგის-Oმოგველისა და არა იმის ნათლობის სახელი. ჭეშმარიტად გულის ყური სიცოცხლემ თუ გამიყინა, თორემ ეს ხომ იმას ეგვანებოდა, რომ რუსთაველისათვის Ტარიელ დაგვერქვა და Bოგოლისათვის ჩიჩიკოვი...

* * *

ამ დღეებში ერთ-ერთს ჩვენს მოწინავე წერილში მიეაქციეთ ყურადღება მეგრელებისათვის „ძალად მხრუნველზედ“ და აგხსენით შეძლებისამებრ, თუ რა სიკეთეს უნდა მოელოდენ მეგრელები იმათის მზრუნველებისაგან. მსეთსავე სიკეთეს უქადის საბრალო ესტეს ერთი იმათი თანამემამულე Oბილისში მცხოვრები პედაგოგი ვიღაც რეცოლდი, რომელსაც კორესპონდენტობისათვის მიუყვია ხელი და აფხაზეთის ჭაობებს თავის ქვეყნის ხალხს ქვეყნიურ სამოთხედ უხატავს. Bინ იცის, რამდენი საბრალო ესტი გადმოსახლებულა ამ კორესპონდენციების წყალობით და რამდენისათვის გაუთხრიათ უდროო სამარე «ქვეყნიურ სამოთხეში». ამ შემთხვევაში თითქმის ერთი და იგივე აპეკუნები გამოსჩენიათ ესტებსაც და მეგრელებსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საბრალო ესტები გამოცურებულან შავ-ზღვაში კორესპონდენტის წყალობით და გონება-ცოცხალმა მეგრელებმა ნეტა სხვა არავინ გააცურონ, თორემ იმათი გამცურებელი ჯერ არავინ აღმოჩენილა.

* * *

„მწყემსმა“ მიიღო სახე რომაელების ღმერთის Iანუსისა, რომელსაც ორი თავი ჰქონდა, ორი პირი და, რასაკვირველია, ორი ენაც ექნებოდა. «პასტირზე» ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვიტყვით, მხოლოდ ვურჩევთ იმ პირთ, რომელთაც Ტერ-მელიქსეტოვის ნაწერებით ჯერ არ დაივიწყებიათ «სახემწიფო ენა», «პასტირი» ზედი-ზედ იკითხონ და ადვილად მიაღწევენ თავიანთ წადილს. რაც შეეხება თვით „მწყემსს“ — ქართულ ტყუპის ცალს, ეს გაზეთი ბოლოს დროს დაადგა „დიფირამბულს“ (ქებითს) მიმართულებას თავის რედაქტორისადმი: რადგან ჩვენ გარემოება ხელს არ გვიწყობდა Oბილისში მომხდარ სამღვდელოების კრებაზედ გველაპარაკნა, ამ წოდების სპეციალურს ორგანს მივმართეთ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ორს ნომერში გაჭრელებულ „ანგარიშში“ მხოლოდ ეს ამოვიკითხეთ: კრებაზედ «მწყემსის» რედაქტორიც დაესწრო... «მწყემსის» რედაქტორმა სიტყვა წარმოსთქვა... „მწყემსის“ რედაქტორს მიმართეს კითხვით... ეკრება „მწყემსის“ რედაქტორს დაეთანხმა... «მწყემსის» რედაქტორმა აღხენა ბაგენი და სთქვა და სხვანი-და-სხვანი. მალე მაშ იმას უნდა მოველოდეთ, რომ «მწყემსის» კარის პოეტი ბ. Iერაძე შეთხზავს ოდას „მწყემსის“ რედაქტორისადმი და ამ. დ. ღამბაშიძე ამ ოდას «ასო-მთავრულებით» დაბეჭდავს თავის ორპირული გაზეთის პირველ გვერდზედ.

ოთახების განათებაზედ, ლაქიებზედ და სხვა მოწყობილობაზედ. .	18 — 10	„
მედუდუკეთ და მემუსიკეთ დაქირავებაში. .	10 —	„ „
სულ.	67 — 14	„

ხარჯ-გარეთ წმინდა შემოსავალი დარჩა მთლად 222 მან. და 54 კაპ., რომელიც მაზრის უფროსს თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილს გარდაეცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელ საზოგადოებისათვის“ გასაგზავნელად. ბულითადი მადლობა ეძღვნებათ კნ. ბარბ. ვახვახიშვილისას, კნიაქ. ან. რუსიეევისას და სხვათა, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს საქველ-მოქმედოდ გამართულს ბალში.

სომ — ლი

სხვა და-სხვა ამბავი.

გარიბალდის ხმალი სამსჯავროში. გუნუაში გარდატეხილა ერთი ვინმე ბალბი, რომელმაც მთელი თავის მოძრავი ქონება უანდერძა მოსამსახურე გოგოს. ნიკოებში ერის თურმე მშვენიერი ხმალი, რომელიც გენერალ გარიბალდისთვის მიერთმია საჩუქრად ერთს იტალიელ ქალაქს. გარიბალდის დიდ ხასს ეტარებინა ეს ხმალი და შემდეგ ბალბისათვის ეჩუქებინა. ბალბს ნათესავებმა, რომელთაც სურდათ ამ ხმლის ხელში ჩაგდება, დაუწყეს გარდატეხილებულის მემკვიდრეს, მოასლეს დავა და მოინდომეს ხმლის წართმევა, მაგრამ მსაჯულმა გადასწყვიტა, რომ ეს ნივთი შეადგენს მოახლის საკუთრებას. ესლა ხმლის პატრონთან ერთის მდიდარს ინგლისელს აქვს გამართული მოლაპარაკება. ინგლისელი დიდ-ძალ ფულს აძლევს ბალბის ნამოახლარს ამ ხმალში.

—

ერთის ამერიკელს ბევრი რამ გაეგონა იმაზედ, თუ როგორ ხერხიანად ქურდობენ ჯიბგირები განსაკუთრებით რკინის გზაზედ და გადაწყვიტა, რომ ეს ჯიბგირები მასსარად აეგდო: ცარიელ ბუმაჟნიკს მან მიაკრა ქაღალდს ნაკუწი ზედ წარწერით: „ბევრი კი წაიღე შენმა მზემ!“ ბუმაჟნიკი პალტოს ჯიბეში ჩაიდო და ჩაჯდა ვაგონში. გზაში ხშირად ისინჯავდა ჯიბეს და ბუმაჟნიკს უოგელთვის თავის ადგილს ამჩნევდა. ვაგონიდამ რომ გამოდიოდა, ერთი კიდე ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო ბუმაჟნიკი, დასცდა და ნასა, რომ სადაც იმის ნაწერი იყო, იქაც კიდასაც სხვა ხელით მიეწერა: „სულელური ხუმრობაა, დიდი ტუტუცი ბძანებულხარ!“

—

ახალი იარაღი. ერთს ამერიკელს გასასინჯავად წარუდგენია ლონდონის მთავრობისათვის მისგან გამოგონებული ზარბაზანი, რომელზედ უსაშინელესი სალხის ამოსაწყვეტელი იარაღი ჯერ არ მოგონებულა. ერთხელ მოწყობილი ეს ზარბაზანი გაუტდენელად ისვრის ამ დრომდე, სანამ პატრონები არ გამოელევა; 333 პატრონთ ეტენება ეს იარაღი. წამში 600 ჯერ ისვრის. ამასთან სროლის აჩქარება, თუ დაგვიანება მსროლელის სურვილზეა დამოკიდებული. მტერე რაზმს ორი-სამის ამ გვარის იარაღის საშუალებით შეუძლიან გაუმლოს ურიცხვს მტრის ჯარს.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის საგენტოსი“.

მარტის 8-ს.

პეტერბურგი. დამტკიცდა იარმუკობა: ბაქოში და ასტრახანში. ბაქოში იარმუკა გაიხსნება ხოლმე აპრილის 4-დამ მაისის 15-დე, ასტრახანში - მაისის 15-დამ ივნისის 15-დე

ბერლინი. იმპერატორის ვილჰელმის მე 88 წლის დღეობის მოსალოცავად მოვიდენ აქ ბრინცები: უელსისა, ალბერტი და ვიქტორი და ედინბურგის ჰერცოგი.

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული წესდება საზღვო ცენზზე ფლოტის ოფიცრებისათვის და აღწერა ფლოტის ოფიცრების რიცხვისა.

ხაბაროვკა. ქოლტიგინის მადნეულ მიწებზე, იგნატინის მახლობლად, არც 5000 მუშა არის; რუსის მთავრობამ გამოუცხადა მუშებს, რომ იგინი დაემორჩილნენ ჩინეთის მთავრობას და რომ მათთვის, როგორც თავისუფლად გადმოსულთათვის სამზღვრებზე, რუსის მთავრობა ვერ იზრუნებს. რუსის ტერიტორიაში მოპოვებული ოქრო მუშებს წაერთმევათ; უმეტესი ნაწილი მუშებისა ცუდს მდგომარეობაშია: ფული არ არის, სურსათი ძვირობს, ბევრნი, რომელთაც მდიდარ მადნებს ვერ მიაგნეს, დაიდუპნენ; შინ დაბრუნებისათვის არავითარი საშუალება არა აქვსთ; მდიდრდებიან უმეტეს წილად მოვაჭრენი; მუშათა რიცხვის შემცირებისათვის სრულიად ციმბირის მადნეულებზედ მიდებულია ზომები.

„დროების“ ფოსტა.

ქ. გ — ნს. თქვენს სტანას ვერ დავბეჭდავთ.

უცნობს ავტორს. ჯერ კინა ბძანდებით, გაგვაგებინეთ და მერე ესეც შეიტყეთ, რომ მამასახლისების ბიოგრაფიას ჩვენ არა ვბეჭდავთ.

ალ. ღ — ელს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ანონსები

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის თქვილისა —	— 1	გირ. 5 ჯ.
აქაურის თქვილისა: პირველი სარისისა —	— 1	ბ. $2^1/_2$
მეორისა —	— 1	ბ. 2 ჯ.
იმავე თქვილ. თორნეში გამომცხვარი.		
პირველი სარისხის	— 1	ბ. $4^1/_2$
მეორისა —	— 1	ბ. 3 ჯ.
მესამისა —	— 1	ბ. $2^1/_2$
ჯვარის-მამი პური:		
პირველი სარის. ლავაში	1	ბ. $4^1/_2$
მეორის სარის. ლავაში	1	ბ. $3^1/_2$
ძესამისა —	— 1	ბ. 3 ჯ.
ძროხის ხორცი:		
პირველის სარისხისა	— 1	ბ. 8 ჯ.
მეორისა —	— 1	ბ. 7 ჯ.
სუკი . . .	— 1	ბ. 15 ჯ.
ცხვრის ხორცი	— 1	ბ. 9 ჯ.
ღორის ხორცი:		
პირველის სარისხისა	— 1	ბ.
მეორისა —	— 1	ბ.

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხუთშაბათობით 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ს ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

დაყიდვა

ნახევარ ფასად: ტანისამოსი, ქუდები, ჩოთქები, პენალები, კრანები, ნიჩბები, სურათები, საფხეკი, სახეხი, ჭადრაკი, პორტსიგარები, სალესავი და სხვ. და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (10 — 5)

საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის მმართველობის თან დასწრებით აპრილის 8-ს დანიშნულია ხელ-ახალის ვაჭრობით, იჯარით გაცემა საძოვარი ადგილისა იოანე-ნათლის მცემლის უდაბნოში, ურაპიაზში. ვისაც იჯარით აღება ჰსურს ზემოხსენებული საძოვარი ადგილისა, შეუძლიან გამოცხადდეს სინოდის სამმართველოში, ანუ გამოგზავნოს დანიშნულ დროისათვის, დილის ათს საათისათვის, დაბეჭდილნი განცხადებანი საჭირო გირაოთი, საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთებით და თავის წოდების მოწმობით. პირობათა შეკერა სინოდის სამმართველოში მსურველებს შეუძლიანთ ყოველ დღე, კვირა უქმე დღეებს გარდა, დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდე. (3 — 2)

გამოვიდა და ისყიდება

ელისო

მოთხრობა ჩვენ-ლთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიგორეოვის წიგნების მაღაზიაში და ანწერნი-ეულს სათავტრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობელოვთან; თელავში: ბატ. ვ. რუსტომაშვილთან.

ძმათა ჭილაძეების

წიგნისა

და საკანცელიარიო ნივთეულობათა მაღაზიაში

ქუთაისში

ისყიდება ყოველ გვარი ქართული, რუსული, ფრანცუზული, ბერძული, ლათინური და სხვა ენების სახელძღვანელონი და აგრეთვე ბელეტრის ტიულ და სხვა გვარი საკითხავი წიგნები ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ახლად მიღებულია: ქართული წერის დედნები. ი. ს. ბოგებაშვილის ანბანი და რუსულისა და ქართული წერის რეეულნი. (10 — 1)

Доз. ценз. Тифлисъ, 9 Марта 1885 г. სტამბა არ. ძალაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.